ოქროს მედლის ბრწყინვალება

30 წელი ყინულოვან წყალში

კარგი საჩუქარი

[illegible]

## ჩვენს მოძმე რესპუბლიკებში

### წლის საუკეთესო სპორტსმენი — მოჭიდავე

აზერბაიჯანის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი, 22 წლის კ. აგაევი მიჩნეულია 1965 წლის საუკეთესო სპორტსმენად რესპუბლიკაში. კლასიკური სტილის მოჭიდავე ბრწყინვალედ გამოვიდა პროფკავშირთა VIII სპარტაკიადაში: მოიპოვა ოქროს მედალი. რესპუბლიკის უძლიერეს სპორტსმენთა ხუთეულში შევიდნენ ა. საიადოვი (ჭიდაობა), ვ. მინეევი (ხუთჭიდი), ი. რისკალი (ფრენბურთი) და ა. ბანიშევსკი (ფეხბურთი).

ბაქო.

### ამურის ყურის „მორჟები"

სქელი ყინულით არის დაფარული ამურის ყურის საზღვაო პლაჟის გამჭვირვალე წყალი ვლადივოსტოკში. მაგრამ საცურაო სეზონი შეწყვეტილი როდია. ყოველდღიურად, სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ, აქ იკრიბებიან „მორჟები" — ზამთრის ცურვის საქალაქო სექციის წევრები. მათ, ასე ვთქვათ, სხვადასხვა სტაჟი აქვთ. მაგალითად, სექციის ხელმძღვანელი, ინჟინერი ვ. ლაუხინი 30 წელზე მეტია გატაცებულია სპორტის ამ ორიგინალური სახეობით. აქტიური „მორჟები" გახდნენ ინჟინერი ვ. დოროშენკო, შორეული აღმოსავლეთის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მასწავლებელი ი. კარასევი, მასწავლებელი მ. მაშკინა, ფლოტის ოფიცერი დ. ეგოროვი.

ვლადივოსტოკი.

### აუზი — ახალი წლისთვის

კარგი საჩუქარი მოუმზადეს დონეცკის მცხოვრებლებს ტრესტ „დონბასტრანსსტროის" მშენებლებმა: ახალი წლის წინ მათ გახსნეს „ლოკომოტივის" ზამთრის საცურაო აუზი. აქ გემოვნებით არის მოწყობილი გასახდელები, საშხაპე ოთახები, „მშრალი" ცურვის დარბაზები.

მალე აუზი მიიღებს პირველ სპორტსმენებს — უკრაინის 8 ქალაქის მატჩის მონაწილეებს.

დონეცკი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოდის 22-ე წელი.

№ 8 (2985) ● ოთხშაბათი, 12 იანვარი, 1966 წ. ● ფასი 3 კაპ.







სარატოვში, საბავშვო პარკის ტერიტორიაზე წამოიმართა ახალი ლამაზი შენობა მინისა და ბეტონისაგან — სპორტული კომბინატი „იუნოსტი". მან თავიდანვე დაიპყრო მოსწავლეთა გულები. ნორჩების სამსახურად მზად არის სპორტდარბაზები, საჭადრაკო კლუბი. სალონში ახალგაზრდული კაფეა.

სპორტული კომბინატის „იუნოსტის" დარბაზებში ყოველთვიურად 10 ათასამდე გოგონა და ჭაბუკი იწვრთნება. 4 თვის მანძილზე აქ გაიმართა 10 შეჯიბრება და 6 ამხანაგური შეხვედრა მოფარიკავე და კალათბურთელ ჭაბუკთა შორის.

ახალი სპორტული ნაგებობა საზოგადოებრივი მშენებლობის მეთოდით აღიმართა. მშენებლობაში მონაწილეობდა ქალაქის 80 ორგანიზაციის ახალგაზრდობა, აგრეთვე აქ ამჟამად მომეცადინე ბევრი ნორჩი სპორტსმენი.

* * *

სურათებზე: ზევით — სპორტული კომბინატი „იუნოსტი"; ქვევით, მარცხნივ — მწვრთნელი ვ. კარელინი ამზადებს კალათბურთელთა გუნდებს VI და VII კლასების პიონერთაგან, რომლებიც მალე პიონერთა რაზმეულების ასპარეზობაში ჩაებმებიან; მარჯვნივ — ბავშვთა სპორტსკოლის მოფარიკავეთა გუნდის წევრები ვ. სალნიკოვი და ა. რომანოვი, რომლებიც „იუნოსტის" მშენებლობაში მონაწილეობდნენ.

ფოტო ე. სოკოლოვისა (სატასი).

## [illegible] საათი...

◆ **ჰასტინგსი, 11 იანვარი.** როგორც ბ. სპასკიმ გაიყო გამარჯვება ჰასტინგსის მთავარ ტურნირში, ასევე გაინაწილა I-II ადგილები არაძირითად შეჯიბრებაში (ე. წ.—„ჩელენჯერ-ტურნირში") ყურგანის ოლქის შადრინსკის მოსწავლემ, 16 წლის ი. ბალაშოვმა. მან და ინგლისელმა კინმა 7,5-7,5 ქულა დააგროვეს 10-დან და არც ერთი პარტია არ წაუგიათ. ამ ტურნირში მონაწილეობდა 36 მოჭადრაკე. შეჯიბრება შვეიცარიული სისტემით ჩატარდა. ტრადიციისამებრ, არაძირითად შეჯიბრებაში გამარჯვებული მეორე წელს ჰასტინგსის მთავარ ტურნირში მონაწილეობის უფლებას იხვეჭს. ასე რომ, გაისად ბალაშოვი უძლიერესთა ტურნირში იასპარეზებს.

◆ **ობერჰოფი (გდრ).** 11 იანვარი. **„ოთხი ტრამპლინის" ტრადიციული ასპარეზობის შემდეგ აქ გაიმართა „მფრინავ მოთხილამურეთა" საერთაშორისო ასპარეზობა. ყველას აჯობა საბჭოთა სპორტსმენმა პ. კოვალენკომ. მან ტრამპლინიდან „იფრინა" 103 და 99 მეტრზე და 230,1 ქულა დააგროვა. II ადგილზეც საბჭოთა სპორტსმენი — ნ. ვერეტენიკოვი გავიდა. III ადგილზეა დ. ნოიენდორფი (გდრ).**

ა. მეტრეველის კიდევ ერთი წოდება
1-ლი გვ.

ბ. სპასკის მსგავსად
1-ლი გვ.

ჭოკით „კოსმოსში"
1-ლი გვ.

სიახლენი დებულებაში
მე-2-3 გვ.

ფეხბურთის ამბები
მე-4 გვ.

**დღეს ნომერშია:**

## ფინალური ტურნირის მიღმა

**ფოთი,** 11 იანვარი **(ტელეფონით, ჩვენი კორ.).** 1950-1951 წლებში დაბადებულ მოსწავლე კალათბურთელთა საკავშირო შეჯიბრების წინასწარი თამაშები სამ ზონად ჩატარდა — ვილნიუსში, დუშანბესა და ფოთში. ფინალში, რომელიც 21 მარტს იწყება კუიბიშევში, გადიოდნენ ზონებში I-II ადგილებზე გასული გუნდები.

წარუმატებლად ჩაატარეს აქ გამართული ასპარეზობა საქართველოს ჭაბუკებმა და გოგონებმა. ბოლოსწინა ტურში განცდილმა მარცხმა (როგორც გოგონებმა, ისე ჭაბუკებმა აზერბაიჯანის კალათბურთელებთან წააგეს შესაბამისად — 25 : 32 და 41 : 42) ისინი ფაქტიურად ჩამოაშორა საპრიზო ადგილებს. მართალია, ბოლო დღეს ჩვენებმა აქტივში თითო ქულა ჩაიწერეს (გოგონებმაც და ჭაბუკებმაც დაამარცხეს უკრაინელი სპორტსმენები — 38 : 25 და 46 : 43), მაგრამ ამით სატურნირო მდგომარეობა ოდნავადაც ვერ გაიუმჯობესეს და საბოლოოდ IV ადგილებზე დარჩნენ.

I ადგილები დაისაკუთრეს უკრაინის ჭაბუკთა და გოგონათა გუნდებმა. II ადგილები წილად ხვდათ აზერბაიჯანის წარმომადგენლებს. III ადგილზე არიან რსფსრ-ს გუნდები.

ქალაქის საზოგადოებრიობისა და სპორტის მოყვარულთა მაღალი შეფასება დაიმსახურა ფოთში ჩატარებულმა შეჯიბრებამ. ...

ა. ლომაია.

## ახალი ამბები

● **დელი,** 10 იანვარი. აზიის ქვეყნების ჩემპიონთა წოდებებს ტალინელმა ტ. სოომემ და თბილისელმა ა. მეტრეველმა მიუმატეს ცენტრალური ინდოეთის პირველი ჩოგბურთელების სახელებიც. ქალთა ერთეულების ფინალში სოომემ მოუგო ინდოელ ნ. ვასანტს, ხოლო შემდეგ მეტრეველთან ერთად გაიმარჯვა შერეულ წყვილთა ასპარეზობაშიც.

● **სტოკჰოლმი,** 10 იანვარი. შაბათი და კვირა „დიდი თხილამურების" დღეები იყო შვეციაში. ერთ-ერთ შეჯიბრებაში, რომელიც რეტვიკში გაიმართა, საბჭოთა სპორტსმენებიც გამოვიდნენ: გოგონებმა — ა. ტიხონოვამ და ლ. სლავოვამ 6 კილომეტრზე რბენაში დაიკავეს IV-V ადგილები და წინ მხოლოდ გამოცდილი მოთხილამურეები — ფინელი ს. პუსულუ და შვედები ბ. მარტინსონი და ტ. გუსტავსონი „გაუშვეს". 15 კილომეტრზე ვაჟთა რბოლაში ვ. ვედენინი მხოლოდ V იყო, თუმცა იგი გამარჯვებულს — შვედ ი. სტეფანსონს (52.15,0) სულ 35 წამით ჩამორჩა. საინტერესო ბრძოლით აღინიშნა ესტერსუნდში გამართული ვაჟთა რბოლა 10 კილომეტრზე. შვედმა პ ე. ერიკსონმა დაამარცხა თავისი გამოჩენილი თანამემამულე პერლუნდი. გამარჯვებულის დრო 34.37,0.

● **ოსლო, 10 იანვარი.** სახელგანთქმულ „ფროგნერ-პარკში" გამართული 15-კილომეტრიანი ტრადიციული რბოლა „მონოლითი" მოიგო ნორვეგიელმა მოთხილამურე რ. ერმსტადმა — 56.00,8. გამოცდილი ფინელი კ. ლაურილა ფინიშთან მეორე იყო — 56.01,5. III ადგილი დაიკავა გრენანჰენმა (ნორვეგია) — 56.09,9.

● **სან-ფრანცისკო,** 10 იანვარი. **ადგილობრივ დახურულ დარბაზში გამართული შეჯიბრება ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი მიღწევით აღნიშნა ჭოკით მხტომელმა ჯ. პენელმა — 506 სმ. განსაკუთრებით მწვავე ბრძოლა გაიმართა სიმაღლეზე ხტომის სექტორში. სამმა სპორტსმენმა — ო. ბარელმა, მ. ლოუმ და ჯ. რამბომ ერთნაირი სიმაღლე — 213 სმ გადალახეს. გაიმარჯვა ბარელმა, რომელსაც ცდების ყველაზე ნაკლები რაოდენობა აღმოაჩნდა. ამერიკული მძლეოსნობის უბერებელმა ვეტერანმა პ. ო'ბრაიენმა ბირთვი ჰკრა 18,97 მეტრზე. ჩ. გრინმა 60 იარდი გაირბინა 6 წამში, რაც მხოლოდ 0,1 წამით უარესია ბ. ჰაიესის მსოფლიო მიღწევაზე.**

● **მარ-დელ-პლატა, 10 იანვარი.** არგენტინის ამ ქალაქის მთავარ ქუჩაზე გადიოდა სპორტული გაზეთის „ელ გრაფიკოს" მიერ მოწყობილი საერთაშორისო მძლეოსნური გარბენის ტრასა (7 კმ 415 მ). ყველას აჯობა ახალგაზრდა შვედმა სტაიერმა ბ. ნაიდემ — 21.30,0. II ადგილი დაიკავა ლ. ფილიპმა (გფრ) — 21.37,0, ხოლო III — არგენტინელმა კუტროპიამ — 21.45,0.

## ახალი ამბები

## ახმეტელ ნორჩ „ოლიმპიელთა" წარმატება

ჯერ კიდევ 1965 წლის გაზაფხულზე გაიმართა საკავშირო ღონისძიება „ოლიმპიური გაზაფხული", რომელშიც დაუსწრებლად მონაწილეობა მიიღეს მოკავშირე რესპუბლიკათა მოსწავლე - ფიზკულტურელებმა. ამ რამდენიმე დღის წინ კი საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ და კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა ახმეტის სკოლა-ინტერნატი შეჯიბრებაში მოპოვებული საუკეთესო მაჩვენებლებისთვის დააჯილდოვეს თასით და I ხარისხის დიპლომით.

15 ახმეტელი მოსწავლე დაჯილდოვდა მედლებით, სიგელებით და ფასიანი საჩუქრებით. აი, ისინი, ვინც ასახელა ახმეტის რაიონი: შ. ჯაბიშვილი, ლ. თედეშვილი, ს. ხუბიაშვილი, გ. ნაროზაული, გ. მარგოშვილი, ი. ბაგოზელი, მ. ზაგაური, შ. აშაძე, ც. ხ. პატარაშვილი, ც. დ. პატარაშვილი, ე. ქოჩიშვილი, ნ. ზაგაური, ე. წიკლაური, ი. ნაწიფაშვილი და ი. ხუციშვილი.

ო. ქოქიევი,
ახმეტის სკოლა-ინტერნატის ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე.

# 1966 წლის რესპუბლიკური სპორტულ

# კ ა ლ ე ნ დ ა რ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მძლეოსნობა

1. ჭაბუკთა რესპუბლიკური პირად-გუნდური შეჯიბრება (1948-1949 წ. წ.). **4-7 მარტი. თბილისი.**

2. ჭაბუკთა საკავშირო პირად-გუნდური შეჯიბრება (1948-1949 წ. წ.). **24-27 მარტი. სარატოვი.**

3. ჭაბუკთა რესპუბლიკური პირად-გუნდური შეჯიბრება (1948-1949 წ. წ.). **25-28 ივნისი. თბილისი.**

4. ჭაბუკთა საკავშირო პირად-გუნდური შეჯიბრება (1948-1949 წ. წ.). **14-17 ივლისი. ვილნიუსი.**

5. ახალგაზრდობის საკავშირო პირად-გუნდური შეჯიბრება (1946-1947 წ. წ.). **24-27 მარტი. ლენინგრადი.**

6. ახალგაზრდობის რესპუბლიკური პირად-გუნდური შეჯიბრება (1946-1947 წ. წ.). **12-14 ივნისი. ქუთაისი.**

7. ახალგაზრდობის საკავშირო პირად-გუნდური შეჯიბრება (1946-1947 წ. წ.). **22-24 ივლისი. რიგა.**

8. მოზრდილთა და ახალგაზრდობის (1946-1947 წ. წ.) რესპუბლიკური პირად-გუნდური პირველობა და შეჯიბრება კროსში. **13 თებერვალი. ბათუმი.**

9. მოზრდილთა და ახალგაზრდობის (1946-1947 წ. წ.) საკავშირო პირველობა და შეჯიბრება კროსში. **12-13 მარტი. ესენტუკი.**

10. საკავშირო პირად-გუნდური შეჯიბრება (დახურულ შენობაში). **17-19 მარტი. ლენინგრადი.**

11. ჭაბუკთა რესპუბლიკური პირად-გუნდური შეჯიბრება (1950-1951 წ. წ.). **4-7 მარტი. თბილისი.**

12. ჭაბუკთა საკავშირო პირად-გუნდური შეჯიბრება (1950-1951 წ. წ.). **24-27 მარტი. სარატოვი.**

13. ჭაბუკთა პირად-გუნდური რესპუბლიკური შეჯიბრება (1950-1951 წ. წ.). **25-28 ივნისი. თბილისი.**

14. ჭაბუკთა საკავშირო პირად-გუნდური შეჯიბრება (1950-1951 წ. წ.). **14-17 ივლისი. ვილნიუსი.**

15. თბილისის, სოხუმის, ბათუმის, ქუთაისისა და რუსთავის ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა. **8-9 აპრილი. სოხუმი.**

16. ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და მოლდავეთის ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა. **27-29 მაისი. ერევანი.**

17. ლატვიისა და საქართველოს ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა. **ივნისი. რიგა.**

18. აშშ-ის და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა. **23-24 ივლისი. აშშ.**

19. საფრანგეთისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა. **17-18 სექტემბერი. კიევი.**

20. სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ოლიმპიური გუნდების სამატჩო შეხვედრები. **22-24 აპრილი, სოჭი; 1-3 ოქტომბერი, ლენინაკანი.**

21. მასობრივი კროსები გაზეთ „პრავდის" პრიზზე. ა) რაიონული, საქალაქო, ავტონომიური ოლქისა და ავტონომიური რესპუბლიკების — **15 აპრილამდე. ადგილებზე;** ბ) რესპუბლიკური — **23-24 აპრილი. გორი;** გ) საკავშირო — **4-5 მაისი. მოსკოვი;** დ) საერთაშორისო და საკავშირო — **12-14 მაისი. მოსკოვი.**

22. სსრ კავშირის პირადი პირველობა. **11-14 აგვისტო. კიევი.**

23. ევროპის პირველობა. **30 აგვისტო- 4 სექტემბერი. უნგრეთი.**

24. სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობა მრავალჭიდსა და ესტაფეტებში. **1-3 ოქტომბერი. ლენინაკანი.**

25. საქართველოს პირად-გუნდური პირველობა. **28-31 ოქტომბერი. ბათუმი.**

26. საკავშირო მასობრივი პროფკავშირულ-კომკავშირული კროსები: ა) წინასწარი შეჯიბრებები. **აგვისტო-სექტემბერი** (გეგმით); ბ) ფინალური შეჯიბრებები. **23 ოქტომბერი** (გეგმით).

27. პიონერთა და მოსწავლეთა საკავშირო შეჯიბრებები ოთხჭიდში: ა) წინასწარი — **10 სექტემბერი-20 ოქტომბერი. ადგილებზე;** ბ) ფინალი — **5-9 ნოემბერი. კისლოვოდსკი.**

28. ესტაფეტის დღე. საკავშირო შეჯიბრება გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" პრიზზე. **18-20 ნოემბერი. კისლოვოდსკი.**

## ლ ე ლ ო

1. საქართველოს პირველობა. **8-15 ოქტომბერი** (გეგმით).

## სათხილამურო სპორტი

1. საკავშირო შეჯიბრება ტრამპლინიდან ხტომაში. **26-30 დეკემბერი. ლენინგრადი, მოსკოვი.**

დასასრული. დასაწყისი იხ. „ლელო" № 7.

2. ჭაბუკთა საკავშირო პირად-გუნდური შეჯიბრება ბიატლონში, ხტომასა და ორჭიდში — **26-28 მარტი, უფა;** რბოლაში — **27-30 მარტი, ოტეპია.**

3. სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ოლიმპიური გუნდების სამატჩო შეხვედრა ხტომაში. **7-10 აპრილი. კიროვსკი.**

4. რესპუბლიკური შეჯიბრება ზამთრის სპორტული სეზონის გახსნის პრიზზე. **21-23 დეკემბერი. ბაკურიანი.**

## სამთო-სათხილამურო სპორტი

1. ჭაბუკთა საკავშირო პირად-გუნდური შეჯიბრება (1948-1950 წ. წ.). **26-31 მარტი. ალმა-ათა.**

2. სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ოლიმპიური გუნდების სამატჩო შეხვედრა. **8-14 აპრილი. კიროვსკი.**

## აფროსნობა

1. აზერბაიჯანისა და საქართველოს გუნდების სამატჩო შეხვედრა. **18-26 ივლისი. თბილისი.**



2. საქართველოს პირად-გუნდური პირველობა. **8-17 ივლისი. თბილისი.**

## ც უ რ ვ ა

1. რესპუბლიკის უძლიერესთა შეჯიბრება საერთო ფიზიკურ მომზადებასა და ცურვაში. **5-9 თებერვალი. თბილისი.**

2. საკავშირო შეჯიბრება გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" პრიზზე: I ეტაპი (სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ნაკრები გუნდები) — **18-23 თებერვალი, ტალინი;** II ეტაპი (ბავშვთა სპორტსკოლების გუნდები) — **16 მარტი, ხარკოვი.**

3. ბელორუსიისა და საქართველოს ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა. **20 მარტამდე. მინსკი.**

4. სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობა. **2-12 ივლისი. მოსკოვი.**

5. საქართველოს პირველობა. **23-26 ივლისი. ბათუმი.**

6. ევროპის პირველობა. **20-27 აგვისტო. ნიდერლანდები.**

7. საქართველოს პირადი პირველობა. **23-27 სექტემბერი. თბილისი.**

8. ჭაბუკთა რესპუბლიკური პირად-გუნდური შეჯიბრება (1950-1953 წ. წ.). **2-5 აგვისტო** (გეგმით).

## ტანვარჯიში

1. ჭაბუკთა (1948-1951 წ. წ.) და გოგონათა (1948-1952 წ. წ.) საკავშირო პირად-გუნდური შეჯიბრება. **20-26 ივლისი. კიევი.**

2. ჭაბუკთა (1948-1951 წ. წ.) და გოგონათა (1948-1952 წ. წ.) რესპუბლიკური პირად-გუნდური შეჯიბრება. **20-25 ივნისი. გორი.**

3. ახალგაზრდობის შეჯიბრება საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პრიზზე. **28 მარტი- 2 აპრილი. თბილისი.**

4. საქართველოს პირადი პირველობა. **19-24 აპრილი. თბილისი.**

5. სსრ კავშირის პირადი პირველობა (და თასი). **20-27 მაისი. ერევანი.**

6. სსრ კავშირის უძლიერესთა პირადი შეჯიბრება. **11-17 ივლისი. მოსკოვი.**

7. საქართველოს პირად-გუნდური პირველობა (და თასი). **19-24 აპრილი. თბილისი.**

8. რესპუბლიკური უწყებათაშორისო პირად-გუნდური პირველობა. **26-30 ოქტომბერი. სოხუმი.**

9. სსრ კავშირის პირველობა მრავალჭიდში. **28 ნოემბერი-4 დეკემბერი. ტაშკენტი.**

## მხატვრული ტანვარჯიში

1. საქართველოს პირად-გუნდური პირველობა. **2-5 აპრილი** (გეგმით).

2. სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობა. **23-27 აპრილი. ბაქო.**

3. გოგონათა საკავშირო პირად-გუნდური შეჯიბრება (1949-1952 წ. წ.). **21-24 ივლისი. ხარკოვი.**

4. სსრ კავშირის თასი. **1-3 ივლისი. ხაბაროვსკი.**

## აკადემიური ნიჩბოსნობა

1. სპორტკავშირების ნაკრები გუნდების რესპუბლიკური შეჯიბრება. **25-26 აპრილი. თბილისი.**

2. აზერბაიჯანის, მოლდავეთისა და საქართველოს ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა. **15-17 მაისი. თბილისი.**

3. სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ნიჩბოსანი ვაჟების საკავშირო პირადი შეჯიბრება. **9-12 ივნისი. ლენინგრადი.**

4. ახალგაზრდობის რესპუბლიკური პირად-გუნდური შეჯიბრება (1944-1947 წ. წ.). **8-10 აგვისტო. ფოთი.**

5. ახალგაზრდობის საკავშირო პირად-გუნდური შეჯიბრება (1944-1947 წ. წ.). **21-25 სექტემბერი. კიევი.**

6. ჭაბუკთა რესპუბლიკური პირად-გუნდური შეჯიბრება (1948-1949 წ. წ.). **8-10 აგვისტო. ფოთი.**

7. ჭაბუკთა საკავშირო პირად-გუნდური შეჯიბრება (1948-1949 წ. წ.). **26-28 აგვისტო. ყაზანი.**

8. საქართველოს პირად-გუნდური პირველობა. **8-10 აგვისტო. ფოთი.**

9. სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობა: ქალთა შორის—**15-18 სექტემბერი, კიევი;** ვაჟთა შორის—**22-25 სექტემბერი, კიევი.**

10. რესპუბლიკური თასის გათამაშება. **1-2 სექტემბერი. თბილისი.**

11. სსრ კავშირის თასის გათამაშება. **30 სექტემბერი- 2ოქტომბერი. მინგეჩაური.**

## საბაიდარო ნიჩბოსნობა და კანოე

1. ქალაქებისა და რაიონების ნაკრები გუნდების რესპუბლიკური შეჯიბრება. **28-30 აპრილი. ქუთაისი.**

2. აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს გუნდების სამატჩო შეხვედრა. **15-17 მაისი. მინგეჩაური.**

3. საკავშირო პირადი შეჯიბრება სპორტკავშირთა გუნდებს შორის. **30 ივნისი- 3 ივლისი. ლენინგრადი.**

4. რესპუბლიკური პირადი შეჯიბრება სპორტკავშირთა გუნდებს შორის. **28-30 ოქტომბერი. თბილისი.**

5. სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობა. **6-9 ოქტომბერი. ასტრახანი.**

6. საქართველოს პირად-გუნდური პირველობა. **15-17 ოქტომბერი. ფოთი.**

7. ახალგაზრდობის საკავშირო პირად-გუნდური შეჯიბრება. (1944-1947 წ. წ.). **11-14 აგვისტო. პსკოვი.**

8. ჭაბუკთა რესპუბლიკური პირად-გუნდური შეჯიბრება (1948-1949 წ. წ.). **1-3 აგვისტო. ქუთაისი.**

9. ჭაბუკთა საკავშირო პირად-გუნდური შეჯიბრება (1948-1949 წ. წ.). **25-28 აგვისტო. ვინიცა.**

## ისინდი და ცხენბურთი

1. საქართველოს პირველობა. **22-29 ოქტომბერი. ოჩამჩირე.**

## ცხენოსნობა

1. საქართველოს პირადი პირველობა დაბრკოლებათა გადალახვაში. **6-10 მაისი. ზუგდიდი.**

2. სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ოლიმპიური გუნდების სამატჩო შეხვედრა სამჭიდში. **19-22 მაისი. დონის როსტოვი.**

3. სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ოლიმპიური გუნდების სამატჩო შეხვედრა დაბრკოლებათა გადალახვასა და ცხენის გაწვრთნაში. **6-11 სექტემბერი. მოსკოვი.**

4. რსფსრ-ს, სომხეთისა და საქართველოს გუნდების სამატჩო შეხვედრა. **4-9 ნოემბერი. სოხუმი.**

5. ჭაბუკთა რესპუბლიკური პირად-გუნდური შეჯიბრება (1949-1950 წ. წ.). **16-20 ივნისი. თბილისი.**

6. ჭაბუკთა საკავშირო პირად-გუნდური შეჯიბრება (1949-1950 წ. წ.). **20-24 ივლისი. მოსკოვი.**

7. სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობა. **30 ივლისი-6 აგვისტო. მოსკოვი.**

8. საქართველოს პირად-გუნდური პირველობა. **2-7 სექტემბერი. თბილისი.**

## სახანძრო-გამოყენებითი სპორტი

1. საქართველოს პირად-გუნდური პირველობა. **1-5 ოქტომბერი. ქუთაისი.**

2. უკრაინისა და საქართველოს ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა. **9-11 ოქტომბერი. თბილისი.**

## წყალში ხტომა

1. საქართველოს პირად-გუნდური პირველობა. **11-14 ივლისი. ბათუმი.**

2. ევროპის პირველობა. **20-27 აგვისტო. ნიდერლანდები.**

3. სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობა. **22-26 სექტემბერი. კიევი.**

4. საქართველოს პირადი პირველობა (1-მეტრიანი ტრამპლინი). **29-30 იანვარი. თბილისი.**

5. სსრ კავშირის პირადი პირველობა (1-მეტრიანი ტრამპლინი). **25-27 თებერვალი. ლენინგრადი.**

6. საკავშირო პირად-გუნდური შეჯიბრება გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" პრიზზე. **22-26 აპრილი. რიგა.**

7. რესპუბლიკური შეჯიბრება სპორტკავშირის პრიზზე. **10-13 ოქტომბერი. თბილისი.**

8. სამატჩო შეხვედრა უკრაინისა და საქართველოს გუნდებს შორის. **აპრილი. კიევი.**

9. სამატჩო შეხვედრა ბელორუსიისა და საქართველოს გუნდებს შორის. **ივნისი. მინსკი.**

10. ჭაბუკთა საკავშირო პირად-გუნდური შეჯიბრება (1949-1950 წ. წ.). **5-9 აგვისტო. ხარკოვი.**

11. საქართველოს თასი. **28-30 აგვისტო. თბილისი.**

12. სსრ კავშირის თასი. **21-23 ოქტომბერი. სარატოვი.**

## რ ე გ ბ ი

1. საქართველოს პირველობა. **16-21 სექტემბერი. თბილისი.**

## ხელბურთი

1. ჭაბუკთა რესპუბლიკური შეჯიბრება (1948-1949 წ. წ.). **23-28 თებერვალი. ფოთი.**

2. ჭაბუკთა საკავშირო შეჯიბრება: ზონებში — **24-27 მარტი. ფოთი, ლენინგრადი, ივანო-ფრანკოვსკი;** ფინალი — **13-17 ივლისი. ტალინი.**

3. სსრ კავშირის პირველობა „ა" კლასის გუნდებს შორის: ვაჟები — I ჯგუფის I ტური — II ქვეჯგუფი — **18-24 მარტი, რიგა;** I ქვეჯგუფი — **28 მარტი-3 აპრილი, კაუნასი;** II ტური — I და II ქვეჯგუფები — **19-26 მაისი, კიევი.** II ჯგუფის I ტური — I ქვეჯგუფი — **17-23 მაისი. ფრუნზე.** II ქვეჯგუფი — **25-31 მაისი, დონეცკი.** II ტური — I და II ქვეჯგუფები — **20-27 ოქტომბერი, ტალინი.** ქალები — I ჯგუფის I ტური — II ქვეჯგუფი— **18-24 მარტი. რიგა;** I ქვეჯგუფი — **28 მარტი-3 აპრილი, კაუნასი;** II ტური — I და II ქვეჯგუფები — **20-27 სექტემბერი, გორკი.** II ჯგუფის I ტური — I ქვეჯგუფი — **17-23 მაისი, ფრუნზე;** II ქვეჯგუფი— **25-31 მაისი, დონეცკი;** II ტური — I და II ქვეჯგუფები — **6-13 ოქტომბერი, სოჭი.**

4. საქართველოს პირველობა „ა" კლასის გუნდებს შორის. **23-30 ივნისი. ფოთი.**

5. საქართველოს პირველობა „ბ" კლასის გუნდებს შორის. **აგვისტო. გორი.**

## თანამედროვე ხუთჭიდი

1. ჭაბუკთა რესპუბლიკური პირად-გუნდური შეჯიბრება (1948-1949 წ. წ.). **7-13 აგვისტო** (გეგმით).

2. საკავშირო პირადი შეჯიბრება. **1-5 თებერვალი. მოსკოვი.**

3. საქართველოს უძლიერეს ხუთჭიდელთა პირადი შეჯიბრება. **23-27 აპრილი. თბილისი.**

4. სსრ კავშირის უძლიერეს ხუთჭიდელთა პირად-გუნდური შეჯიბრება. **6-11 მაისი. ნალჩიკი.**

5. ლატვიისა და საქართველოს გუნდების სამატჩო შეხვედრა. **15 აპრილამდე. რიგა.**

6. ესტონეთისა და საქართველოს გუნდების სამატჩო შეხვედრა. **15 ნოემბრამდე. თბილისი.**

7. საქართველოს გუნდური პირველობა. **11-16 ივნისი. თბილისი.**

8. ახალგაზრდობის საკავშირო პირად-გუნდური შეჯიბრება (1945-1947 წ. წ.). **20-25 ივლისი. მოსკოვი.**

9. ახალგაზრდობის რესპუბლიკური პირად-გუნდური შეჯიბრება (1945-1947 წ. წ.). **7-13 აგვისტო. თბილისი.**

10. საქართველოს პირადი პირველობა. **1-5 აგვისტო. თბილისი.**

11. სსრ კავშირის პირველობა მოკავშირე რესპუბლიკათა და მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდების სპორტსმენთა მონაწილეობით. **26-31 აგვისტო. მოსკოვი.**

12. სსრ კავშირის პირველობა და სპორტსაზოგადოებათა და უწყებების ოლიმპიური გუნდების მატჩი. **25-31 ოქტომბერი. ერევანი.**

## მშვილდოსნობა

1. საქართველოს პირად-გუნდური პირველობა. **20-24 ივლისი. ქუთაისი.**

2. სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობა. **10-14 აგვისტო. მოსკოვი.**

## ტყვიით სროლა

1. სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ოლიმპიური გუნდების სა-



# შეჯიბრებების

ი

...რა. **1-6 ივნისი. მოს-**
...სა და საქართველოს
...დების სამატჩო შეხვე-
...**ოქტომბერი. კიევი.**
...იკის უძლიერეს მსრო-
...ად-გუნდური შეჯიბრე-
...**არტი. თბილისი.**
...ს მსროლელთა საკავ-
...გუნდური შეჯიბრება.
...**ი. ლვოვი.**
...ელოს პირად-გუნდუ-
...**ა. 1-8 აგვისტო. თბი-**

...შირის პირად-გუნდური
**...1-9 ოქტომბერი. კიევი.**
... რესპუბლიკური პი-
... შეჯიბრება (1948-
**...1-3 ივნისი. თბილისი.**
... საკავშირო პირად-
...შეჯიბრება (1948-1949
**... ივლისი. მოსკოვი.**

## ...ნდო სროლა

...ელოს თასი. **17-21 აპ-**
**...ისი.**
...შირის თასი. **7-11 აპ-**
...
...შირის პირად-გუნდუ-
...ა. **6-10 აგვისტო. მოს-**

...ელოს პირად-გუნდუ-
...ა. **25-29 სექტემბერი.**

...ზრდობის რესპუბლი-
...ად-გუნდური შეჯიბრება
... წ.). **20-22 ივნისი.**

...ზრდობის საკავშირო
...ური შეჯიბრება (1943-
**...9-11 ივლისი. კაუნასი.**
...თა რესპუბლიკური პი-
...ური შეჯიბრება (1948-
**...20-22 ივნისი. თბილისი.**
...თა საკავშირო პირად-
...შეჯიბრება (1948-1949
**... ივლისი. ტალინი.**
...საზოგადოებათა და უწ-
...მპიური გუნდების სა-
...ერა. **10-13 სექტემბე-**

...ინისა და საქართველოს
...დების სამატჩო შეხვე-
**...ოქტომბერი. ქუთაისი.**

## ...ოგბურთი

...თა საკავშირო პირად-
...შეჯიბრება (1948-1952
...ალი — **22 მარტი-3 აპ-**
**...კოვი.**
...თა რესპუბლიკური შე-
**...-30 ივნისი. ბათუმი.**
...თა საკავშირო პირადი
...(1948-1952 წ. წ.). **18-24**
**...ლინი.**
...ირო შეჯიბრება: გუნდუ-
...**იანვარი-3 თებერვალი,**
...ადი — **4-13 თებერვა-**

...თველოს პირად-გუნდუ-
...ობა. **1-11 ივლისი. ბა-**

...შირის პირად-გუნდური
... **6-23 ოქტომბერი. ტაშ-**

...ზრდობის რესპუბლიკუ-
...რი (1945-1947 წ. წ.).
**...მბერი. თბილისი.**
...ზრდობის საკავშირო
...(1945-1947 წ. წ.). **11-23**
**... დუშანბე.**

## ...ის ჩოგბურთი

...თა საკავშირო პირად-
...შეჯიბრების (1948-1952
...ალი. **23-29 მარტი. კა-**
**...ი.**
...თა რესპუბლიკური პი-
...ური შეჯიბრება (1948-
**...3-6 აპრილი. ხაშური.**
...ველოს პირადი პირვე-
**...25 იანვარი. მახარაძე.**
...ირო შეჯიბრება. **1-6 თე-**
**...ორკი.**

5. სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობა. **17-31 ოქტომბერი. კაუნასი.**

6. საქართველოს პირად-გუნდური პირველობა. **12-19 ნოემბერი. ცხინვალი.**

7. ბავშვთა სპორტსკოლების გუნდების რესპუბლიკური შეჯიბრება. **25-29 ივნისი** (გეგმით).

8. ბავშვთა სპორტსკოლების საკავშირო შეჯიბრება. **15-20 ივლისი. ოდესა.**

## ძალოსნობა

1. ახალგაზრდობის საკავშირო პირად-გუნდური შეჯიბრება (1946-1949 წ. წ.). **17-20 თებერვალი. ხარკოვი.**

2. ახალგაზრდობის რესპუბლიკური პირად-გუნდური შეჯიბრება (1946-1949 წ. წ.). **6-8 მაისი. თბილისი.**

3. სსრ კავშირის პირადი პირველობა. **22-24 აპრილი. კრივოი როგი, წაზკაძორი, იზმაილი, კალინინი;** ფინალი — **13-18 მაისი. ნოვოსიბირსკი.**

4. საქართველოს პირადი პირველობა. **25-27 ნოემბერი. თბილისი.**

5. საქართველოსა და უკრაინის ახალგაზრდული ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა. **21-22 მაისი. თბილისი.**

6. საქართველოს თასი. **4-6 თებერვალი. თბილისი.**

7. სსრ კავშირის გუნდური პირველობა. **21-25 დეკემბერი. აშხაბადი.**

## ფარიკაობა

1. ახალგაზრდობის საკავშირო პირად-გუნდური შეჯიბრება (1946-1949 წ. წ.) **4-10 თებერვალი. ტალინი.**

2. სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობა. **2-10 ივნისი. მოსკოვი.**

3. საქართველოს პირად-გუნდური პირველობა. **15-20 სექტემბერი. თბილისი.**

4. საკავშირო პირადი ტურნირი. **2-7 მარტი. ლვოვი.**

5. საკავშირო პირადი ტურნირი **18-23 აპრილი. ხარკოვი.**

6. უკრაინის, ესტონეთის, ლენინგრადისა და საქართველოს ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა. **15-18 მარტი. თბილისი.**

7. ჭაბუკთა რესპუბლიკური პირად-გუნდური შეჯიბრება (1947-1949 წ. წ.). **1-7 ივლისი. ზესტაფონი.**

8. ჭაბუკთა საკავშირო პირად-გუნდური შეჯიბრება (1947-1949 წ. წ.). **20-28 დეკემბერი. იაროსლავლი.**

9. ახალგაზრდობის სპორტსკოლათა რესპუბლიკური შეჯიბრება. **17-23 სექტემბერი** (გეგმით).

10. ახალგაზრდობის სპორტსკოლების საკავშირო შეჯიბრება: ზონებში — **4-10 ოქტომბერი. ზესტაფონი, ვორონეჟი, უფა, რიგა, ზაპოროჟიე,** ალმა-ათა; ფინალი — **24-30 ოქტომბერი. მოსკოვი.**

11. საქართველოს თასი. **12-18 ნოემბერი** (გეგმით).

12. სსრ კავშირის თასი. **7-12 დეკემბერი. დონის როსტოვი.**

## ფეხბურთი

1. სსრ კავშირის თასი. **აპრილი-აგვისტო** (კალენდრით).

2. სსრ კავშირის თასი ფიზკულტურული კოლექტივების გუნდებისთვის: I ეტაპი — ფიზკულტურულ კოლექტივებში — **აპრილი-ივნისი;** II ეტაპი — რაიონული და საქალაქო — **ივლისი-აგვისტო;** III ეტაპი — ავტონომიური ოლქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების — **ივლისი-აგვისტო;** IV ეტაპი — რესპუბლიკური — **10 სექტემბრამდე;** V ეტაპი — საკავშირო ნახევარფინალები — **სექტემბერი-ოქტომბერი;** I-IV ადგილებისთვის — **ოქტომბერი.**

3. სსრ კავშირის პირველობა „ა" კლასის გუნდებს შორის. **აპრილი-ნოემბერი** (კალენდრით).

4. საქართველოს პირველობა. **მარტი-ნოემბერი** (კალენდრით).

5. სსრ კავშირის პირველობა „ბ" კლასის გუნდებს შორის. **აპრილი-ნოემბერი** (კალენდრით).

6. მოზარდთა გუნდების საერთაშორისო ტურნირი. **6-12 აპრილი. იუგოსლავია.**

7. საკავშირო პირველობა „ტყავის ბურთის პრიზზე" (სახლმმართველობათა გუნდებს შორის). **ივლისი-აგვისტო. ადგილებზე.**

8. სპორტსაზოგადოებათა და უწყებების ჭაბუკთა გუნდების შეჯიბრებები (1948-1949 წ. წ.) — I ეტაპი — **აპრილი-ივლისი** (ზონებში); II ეტაპი — ნახევარფინალები — **11-22 ივლისი;** III ეტაპი — ფინალი — **7-18 სექტემბერი.**

9. „იმედის თასის" გათამაშება (1946-1948 წ. წ.). —საქართველოს ზონებში — **ივლისი-სექტემბერი;** ფინალი — **21-29 ოქტომბერი.**

10. „სიჭაბუკის თასის" გათამაშება: რესპუბლიკური — **ივნისი-ივლისი;** საკავშირო — ზონებში — **ივლისი-სექტემბერი;** ფინალი — **18-29 ოქტომბერი. მინსკი.**

## ჭადრაკი

1. ჭაბუკთა და გოგონათა საკავშირო ტურნირი ოსტატებთან ერთად. **1-20 ივნისი. ლენინგრადი.**

2. ჭაბუკთა და გოგონათა რესპუბლიკური პირად-გუნდური შეჯიბრება. **1-11 ივლისი. თბილისი.**

3. ჭაბუკთა და გოგონათა საკავშირო პირად-გუნდური შეჯიბრება. **4-15 აგვისტო. ვლადიმირი.**

4. საქართველოს პირადი პირველობა: ვაჟები — წინასწარი ტურნირები — **1-11 თებერვალი. გორი;** ნახევარფინალი — **12-25 თებერვალი. გორი;** ფინალი — **5-31 მარტი. ბათუმი.** ქალები — **10 მაისი-5 ივნისი. თბილისი.**

5. სსრ კავშირის ვაჟთა პირველობა — ნახევარფინალები — **13 აგვისტო-10 სექტემბერი. ალმა-ათა, ვილნიუსი, ირკუტსკი, კრასნოდარი;** ფინალი — **21 ნოემბერი-25 დეკემბერი. თბილისი.**

6. სსრ კავშირის ქალთა პირველობა — ნახევარფინალები — **18 აგვისტო-3 სექტემბერი. უჟგოროდი, ნოვოსიბირსკი, პეტროზავოდსკი, სევასტოპოლი;** ფინალი — **15 ნოემბერი-18 დეკემბერი. ვოლგოგრადი.**

7. სსრ კავშირის გუნდური პირველობა: შესარჩევი შეჯიბრებები— **3-7 ოქტომბერი. მოსკოვი;** ფინალი: **8-21 ოქტომბერი. მოსკოვი; 9-22 ოქტომბერი. ბაქო.**

## შ ა შ ი

1. საქართველოს პირადი პირველობა ქალთა შორის — **5-20 მარტი. ქუთაისი;** ვაჟთა შორის — **5-26 მარტი. ქუთაისი.**

2. სსრ კავშირის ქალთა პირველობა — ნახევარფინალები — **2-11 ივლისი. ზაპოროჟიე, სამარყანდი;** ფინალი — **5-19 სექტემბერი. ნალჩიკი.**

3. სსრ კავშირის ვაჟთა პირველობა — ნახევარფინალები — **1-10 აგვისტო. დუშანბე, დონეცკი, კოხტლა-იარვე, დივიჩი;** ფინალი — **6-19 ოქტომბერი. გროზნო.**

4. საქართველოს პირადი პირველობა ასუჯრიან შაშში. **5-25 მაისი. ცხინვალი.**

5. სსრ კავშირის პირადი პირველობა ასუჯრიან შაშში: ნახევარფინალი — **13-26 აგვისტო. ლვოვი, ვიტებსკი, კალუგა, უსტ-კამენოგორსკი;** ფინალი — **10-30 ნოემბერი. მოსკოვი.**

6. სსრ კავშირის გუნდური პირველობა: ნახევარფინალი — **1-8 ივნისი. თბილისი;** ფინალი — **13-22 დეკემბერი. ლენინგრადი.**

7. ჭაბუკთა რესპუბლიკური პირად-გუნდური შეჯიბრება (1948-1952 წ. წ.). **19-30 ივნისი** (გეგმით).

8. ჭაბუკთა საკავშირო პირად-გუნდური შეჯიბრება (1948-1952 წ. წ.). **18-24 ივლისი. რიგა.**

*რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ შეჯიბრებები კალენდარში მოყვანილია იმის გამო, რომ მათში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს სპორტსმენებიც.*



# დამატებები, ცვლილებები

როგორც ცნობილია, გაისად გაიმართება სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადა, რომლის დებულება 1965 წლის 20 მაისს დაამტკიცა სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა. საკავშირო სპორტკავშირმა სხვადასხვა ორგანიზაციისგან მიიღო წინადადებანი დებულებებში ზოგიერთი დამატებისა და ცვლილების შეტანის თაობაზე. ამის გამო დებულებაში მოხდა შემდეგი დამატებები და ცვლილებები:

სპარტაკიადის პროგრამაში შეტანილია შეჯიბრებები ავიასამოდელო, საპარაშუტო, საპლანერო, სათვითმფრინავო, საავტომობილო, საწყლოსნო-სამოტორო, საწყალქვეშო, საზღვაო სპორტულ მრავალჭიდში, მოტო და რადიოსპორტში, სულ 16 სახეობაში.

მოსწავლეთა 1967 წლის სპარტაკიადის პროგრამაში დამატებით შეტანილია შეჯიბრებები ხელბურთსა და მაგიდის ჩოგბურთში: კომპლექსში შედის 10 სახეობაში ნაჩვენები საუკეთესო მაჩვენებლები.

ამას გარდა, სპარტაკიადის დებულებაში მოხდა შემდეგი დამატებები და შესწორებები:

**ცურვაში** დამატებით შეტანილია შეჯიბრებები 100 მეტრზე ბრასით, 100 მეტრზე ბატერფლაით, 100 მეტრზე ზურგზე, 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში, 4×100 მ ესტაფეტაში (ვაჟებისა და ჭაბუკებისთვის); ქალებისა და გოგონებისათვის კი — 200 და 800 მეტრზე თავისუფალი სტილით, 100 მეტრზე ბრასით, 200 მეტრზე ბატერფლაით, 200 მეტრზე ზურგზე და 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში.

ყველა დისტანციაზე შეჯიბრებაში გაიმართება აგრეთვე ნახევარფინალური გაცურვები გარდა შემდეგი სახეობებისა: 400 მეტრზე კომპლექსური, 400 და 800 მეტრზე თავისუფალი სტილით, ესტაფეტები (ქალები, გოგონები), 400 მეტრზე კომპლექსური, 400, 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით და ესტაფეტა (ვაჟები და ჭაბუკები). გუნდური პირველობის ჩათვლაში შევა როგორც მოკავშირე რესპუბლიკების ნაკრები გუნდების, ასევე მოსწავლეთა კოლექტივების სპორტსმენთა მიერ ნაჩვენები 5-5 შედეგი ესტაფეტაში.

მოკავშირე რესპუბლიკებისა და მოსწავლეთა გუნდების შემადგენლობა გადიდდება 48 კაცამდე. შეჯიბრებათა დღეები გაიზრდება 6-დან 8 დღემდე მოკავშირე რესპუბლიკების გუნდებისათვის და 5-დან 7 დღემდე — მოსწავლეთა გუნდებისთვის.

**მძლეოსნობაში** დამატებით შეტანილია შეჯიბრებები 3.000 მ რბენაში 17-18 წლის ჭაბუკთათვის და 800 მეტრზე რბენაში 17-18 წლის გოგონებისთვის. 17-18 წლის ჭაბუკთათვის სპორტულ სიარულში შეჯიბრება 5 კილომეტრის ნაცვლად ჩატარდება 10 კილომეტრზე. მოსწავლეთა სპარტაკიადაში გუნდების მონაწილეთა რიცხვი გადიდდება 48 კაცამდე.

**ძალოსნობაში** გუნდური პირველობის ჩათვლა მოეწყობა ასეთი წესით: გუნდური პირველობა გაირკვევა გუნდის ყველა მონაწილის მიერ ნაჩვენები უკეთესი ქულების (ადგილების) მიხედვით, მათ შორის სავალდებულოა: ერთისა — ყოველ წონით კატეგორიაში და დანარჩენი 4 მონაწილისა—ნებისმიერ კატეგორიაში. ყოველ წონით კატეგორიაში გუნდს ეწერება: I ადგილისთვის — 25 ქულა, II — 24, III — 23, IV — 22 ქულა და ა. შ. XXII ადგილისათვის 2 ქულა, XXV და მომდევნო ადგილებისთვის—1 ქულა. სსრ კავშირის საერთაშორისო სპორტის ოსტატის შედეგის ჩვენებისთვის მოცემულ კატეგორიაში გუნდს დამატებით ეწერება 1 ქულა.

შეიცვალა შეჯიბრებების ვადები **ფრენბურთში** მოკავშირე რესპუბლიკების გუნდებისთვის. 1-11 აგვისტოს ნაცვლად თამაშები გაიმართება 13-23 ივლისს. IV სპარტაკიადის დებულებიდან ამოღებულია პუნქტი, სადაც ლაპარაკია მოსწავლეთა სპარტაკიადაზე 1949 წელს დაბადებული გოგონებისა და ჭაბუკების დაშვების შესახებ, რომლებმაც 1966 წელს დაამთავრეს ზოგად-საგანმანათლებლო სკოლა.

დაწესდა საიუბილეო მედალი და საიუბილეო დიპლომი სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადის პროგრამის ყველა სახეობაში გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად და სამახსოვრო მედალი ყველა მონაწილის, მწვრთნელის, მსაჯის, გუნდების ხელმძღვანელთა და სპარტაკიადის მომსახურე პერსონალის დასაჯილდოებლად.

# სპორტსმენი, ხელოვანი

ამ დღეებში შესრულდა გამოჩენილი მომღერლის, ოპერის, ოპერეტის, ესტრადის, კინოსა და ცირკის მსახიობის, რესპუბლიკის სახალხო არტისტის ლადო კავსაძის დაბადების 80 წლისთავი.

ბევრმა, ალბათ, არ იცის, რომ ეს პოპულარული მსახიობი თავის დროზე ცნობილი სპორტსმენი იყო. ჯერ კიდევ თბილისის ვაჟთა II გიმნაზიაში სწავლის დროს ლადო დაუკავშირდა ველოსიპედისტთა ჯგუფს, რომელსაც ხელმძღვანელობდა ცნობილი სპორტული საქმოსანი ლ. გოტაკი. გოტაკის საზოგადოება სანახევროდ კომერციული იყო. ამის მიუხედავად, აქ აღიზარდნენ ისეთი ველოსიპედისტები, როგორებიც იყვნენ ლოლაძე, გაბრიელოვი, სავანელი და სხვ. ლადო მალე გაუსწორდა ამ მოწინავე სპორტსმენებს და შემდეგ გაუსწრო კიდეც. და აი, 1907 წელს მან ამიერკავკასიის ჩემპიონის ცისფერუჯრედებიანი მაისურის ტარების უფლება მოიპოვა.

როდესაც 1908 წელს თბილისში შეჯიბრებების ჩასატარებლად ჩამოვიდა ცნობილი რუსი ავიატორი და მსოფლიოში აღიარებული ველოსიპედისტი ვ. უტოჩკინი, მის მეტოქედ თბილისის საზოგადოებამ ლ. კავსაძე გამოჰყო. როგორც მაშინდელი აფიშები იტყობინებოდნენ, „მარულა დანიშნული იყო 12 წრედ", რომლის სიგრძე 3 ვერსს უდრიდა. ახალგაზრდა მოყვარული სპორტსმენი ღირსეულად გაუმკლავდა მრავალ შეჯიბრებაში გამოცდილ პროფესიონალს.

როცა იმავე წლის დიდმარხვის დღეებში პეტერბურგის ტრადიციულ ველორბოლას მსოფლიო ვარსკვლავები — იტალიელი პეტცისი, ინგლისელი ჯიმსი, ამერიკელი ჰესპალი, გერმანელი ბადერი და ბალტიისპირელი ნედოლა ეწვივნენ, რუსეთის ველოსაზოგადოებამ ოდესელ უტოჩკინთან და მოსკოველ სედოვთან ერთად თბილისელი კავსაძეც მიიწვია.

უტოჩკინმა, სედოვმა და კავსაძემ ზედიზედ დაამარცხეს უცხოელი ვარსკვლავები.

ამ შეჯიბრებაში ლადომ მეორე გამარჯვებაც იზეიმა: რბოლის შემდეგ ტრადიციულად გაიმართა კონკურსი ტანის პროპორციულ აღნაგობასა და საერთო სილამაზეზე. ეს პრიზი, რომელიც რამდენიმე ასეულ სპორტსმენს შორის გათამაშდა, კონკურსის ჟიურიმ ლადოს მიანიჭა.

ლადო გატაცებული იყო ქართული ჭიდაობით, ხშირად მონაწილეობდა კუკიასა და ფიქრის გორაზე გამართულ შეჯიბრებებში. ჭიდაობდა „გიმნაზიელის" ფსევდონიმით და იმდენად მოიხვეჭა სახელი, რომ სახელგანთქმული კოსტა მაისურაძე, გლდანელი, ა. გოლაძე და სხვა ფალავნებიც კი ანგარიშს უწევდნენ მას.

ცნობილი სპეციალისტი მ. ხერხეულიძე ლადოს ახასიათებდა, როგორც საზრიან, სწრაფ და ღონიერ ათლეტს. პარალელურად ის „ფრანგული" (კლასიკური) სტილის ჭიდაობაშიც ვარჯიშობდა.

ლადო დიდხანს მუშაობდა რუსულ ოპერეტაში, მოსკოვის თეატრ „ბუფში". ხელფასი მცირე ჰქონდა და მატერიალური პირობები რომ გაეუმჯობესებინა, პარალელურად მოსკოვის ცირკის პროფესიონალ მოჭიდავეთა ჩემპიონატში მონაწილეობდა. მოსკოვი მაშინ რუსეთის ათლეტური სპორტის ცენტრი იყო. ცირკის ასპარეზზე გამოდიოდნენ საუკეთესო მოჭიდავენი—პოდუბნი, ზაიკინი, ზბიშკო-ციგანოვიჩი, ვახტუროვი, ბული, მაისურაძე და სხვ. ჭიდაობას ხელმძღვანელობდა ცნობილი არბიტრი ლებედევი, რომელიც მთელს რუსეთში „ბიძია ვანიას" სახელით იყო ცნობილი.

სიცოცხლის ბოლო წლებში, როცა ლადო თბილისის ცირკის დირექტორად მუშაობდა, იდეა ლაებადა — შეექმნა საცირკო პროგრამა ისეთი ქართული ხალხური სპორტული თამაშების საფუძველზე, როგორიც არის ლახტი, ოთურმა, ყაბახი და სხვ. მაგრამ ავადმყოფობამ არ დააცალა ამ ჩანაფიქრის განხორციელება.

ა. გონიავა.

# უმაღლესი ჯილდო — ორად

სპეციალური ფრანგული ჟურნალი საჭადრაკო კომპოზიციაში „ტემეს-64“ ყოველწლიურად ატარებს საერთაშორისო კონკურსს ამოცანებისა და ეტიუდების შედგენაში.

ჟურნალის ბოლო ნომერში გამოქვეყნებულია 1964 წლის კონკურსში გამარჯვებული ნაწარმოებები. ამ კონკურსში I-II ჯილდოები გაინაწილეს თბილისელმა გ. ნადარეიშვილმა და პარიზელმა გ. ანტონოვმა.

აი, რას წერს ესპანელი მსაჯი გ. ლომერი გ. ნადარეიშვილის ეტიუდზე: „ამ ძალზე ნიჭიერმა კომპოზიტორმა ჯერ კიდევ ადრე წარმატებით დაამუშავა თემა — „ორი მხედარი ლაზიერის წინააღმდეგ“, მაგრამ ჩვენ ვთვლით, რომ შესაძლებლობანი ამ მხრივ არ არის ამოწურული, რასაც ერთხელ კიდევ ვხვდებით ამ ნაწარმოებში. კომპოზიტორმა განხილულ ნაწარმოებში მოგვცა შავი მეფისა და ლაზიერის გაafთრებული ბრძოლა თეთრი მეფის წინააღმდეგ, სადაც ეტიუდის დასკვნით ნაწილში სუსტი მხარე (თეთრები) თავს აღწევს დამარცხებას ორი მხედრის თანმიმდევრული გაყვანით“.

**ნ. შარაშენიძე.**

აი, პრემირებული ეტიუდი.



თეთრები იწყებენ და აკეთებენ ყაიმს.

აი, ეტიუდის ამოხსნა: 1. d6—d7... ლაზიერის გაყვანას წაგებისკენ მივყავართ. მაგალითად: 1. c8ლ? ლa4! (1. ... ლ:c8? 2. d7±) 2. მფ:b2 ლh4+ მოგებით. ანალოგიური სურათი იშლება 1. e8ლ გაყვანის შემთხვევაში.

1. ... ლa8:a2+!! 2. მფb1:a2 მფd2—c2 3. მფa2—a3!...

თუ 3. c8ლ, მაშინ 3. ... b1ლ+ 4. მფa3 ლb3×.

3. ... b2—b1ლ 4. მფa3—a4 მფc2—c3 5. მფa4—a5 მფc3—c4 6. მფa5—a6 მფc4—c5 7. მფa6—a7 ლb1—b6+ 8. მფa7—a8 ლb6—a6+ 9. მფa8—b8 მფc5—b6 10. c7—c8მ+! მფb6:c6 11. d7—d8მ+! და ყაიმია.

ან. 8. ... ლ:c6+ 9. მფb8 მფb6 10. c8მ+! მფa6 11. d8მ და შავების მოგება არ ჩანს.




# თასი და ფავორიტები

ევროპის სპორტული პრესა ვრცელ კომენტარს უკეთებს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალის კენჭისყრის შედეგებს და აქვეყნებს მასალებს მონაწილეთა შესახებ.

საინტერესოა გუნდების წარმომადგენელთა განცხადებები კენჭისყრის თაობაზე.

**მადრიდის „რეალის“ მდივანი დომინგესი:** „გვწადდა „ანდერლეხტთან“ შეხვედრა: უნდა ავილოთ რევანში 1963 წლის დამარცხებისთვის. ფეხბურთში რაც უფრო საშიშ მეტოქეს ხვდები, მით უფრო საინტერესოა თამაში. რახან „ანდერლეხტს“ ვხვდებით, კმაყოფილი ვართ“.

**„ანდერლეხტის“ პრეზიდენტი დეჟო:** „რეალი“ კარგი მეტოქეა. ვიმედოვნებთ გავიმეოროთ 1963 წლის წარმატება, როცა მადრიდელები გათამაშების პირველ წრეშივე დავამარცხეთ“.

**„ბენფიკას“ დირექტორი მოურა:** „მეოთხედფინალის მონაწილეთა შორის გამოირჩევა ჩვენი მომავალი მეტოქე — „მანჩესტერ იუნაიტედი“. ინგლისის ჩემპიონი საშიში გუნდია, მაგრამ ეს კარგია: ჩვენს მაყურებელს უყვარს დიდი მატჩები“.

**„მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელი ბასბი:** „ბენფიკა“ ძლიერი გუნდია და მანჩესტერის სტადიონიც სავსე იქნება. ჩემი ბიჭები ამჟამად კარგ ფორმაში არიან და პორტუგალიელებს ნამდვილ ინგლისურ ფეხბურთს ვაჩვენებთ!“.

**„ინტერნაციონალეს“ მწვრთნელი ერერა:** „მანჩესტერ იუნაიტედთან“ შეხვედრა ხელს არ გვაძლევდა, ვინაიდან ამ გუნდს ფინალში გასვლის ყველაზე მეტი შანსი აქვს. კიდევ კარგი, რომ ამ ხიფათს გადავრჩით. „ფერენცვაროშის“ საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს“.

**„ფერენცვაროშის“ წარმომადგენელი კალმარი:** „მეტოქისა არ გვეშინია, თუმცა მას ერთი უპირატესობა აქვს —იტალიაში ჩემპიონატი გრძელდება და „ინტერი“ სპორტულ ფორმას ინარჩუნებს. ჩვენ კი საგანგებოდ მზადება გვიხდება“.

**პრაღის „სპარტას“ მწვრთნელი იეშეკი:** „გვეშინოდა „ინტერთან“ ან „მანჩესტერ იუნაიტედთან“ წყვილში მოხვედრა. ბელგრადის „პარტიზანთან“ თამაში საინტერესო იქნება“.

დავუბრუნდეთ ისევ სპეციალისტთა პროგნოზებს. „ბენფიკას“ შანსები დაეცა, — ფიქრობს კომენტატორთა უმრავლესობა. მეკარე პერეირა ჯერ კიდევ ავადმყოფობს, ცენტრალური მცველი ჟერმანო ცუდ ფორმაშია, თავდასხმაც ძველებურად ძლიერი აღარაა. „ბენფიკამ“ ძლივს მოუგო „ლევსკის“, მაგრამ „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ასეთი თამაშით ფონს ვერ გავა. რაც შეეხება ინგლისის ჩემპიონს, მისი „ვარსკვლავები“ ლოუ და რ. ჩარლტონი საუკეთესო ფორმაში არიან.

ძნელი გამოცდა ელის მადრიდის „რეალსაც“. მადრიდელები მთავარ იმედებს „ანდერლეხტთან“ მომავალ შეხვედრებში თავიანთი თავდასხმის ვეტერანზე, 39 წლის პუშკაშზე ამყარებენ. „ანდერლეხტის“ აქტივში კი უკვე არის „რეალზე“ გამარჯვება (1963 წელს, 1:0).

რაც შეეხება „ინტერნაციონალესა“ და „ფერენცვაროშის“ მომავალ შეხვედრებს, კომენტატორთა უმრავლესობა „ინტერს“ უწინასწარმეტყველებს გამარჯვებას, თუმცა მერვედფინალურ შეხვედრებში ბუქარესტის „დინამოსთან“ საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი სათანადო სიმაღლეზე ვერ იდგა. ბელგრადის „პარტიზანი“ და პრაღის „სპარტა“ კომენტატორებს ტოლფასოვან მეტოქეებად მიაჩნიათ.

აი, მეოთხედფინალის კალენდარიც:

**„მანჩესტერ იუნაიტედი“ — „ბენფიკა“ (ლისაბონი). 2 თებერვალს** (მანჩესტერში) და **9 მარტს.**

**„ანდერლეხტი“ (ბრიუსელი) — „რეალი“ (მადრიდი). 23 იანვარს** (ბრიუსელში) და **9 მარტს.**

**„ინტერნაციონალე“ — „ფერენცვაროში“. 2 მარტს** (მილანში) და **9 მარტს.**

**„სპარტა“ (პრაღა) — „პარტიზანი“ (ბელგრადი).** თარიღები დაზუსტებული არ არის.


ეროვნული ბიბლიოთეკა

## ა. დ. კახნიაშვილი

გარდაიცვალა ალექსანდრე დიმიტრის ძე კახნიაშვილი, სახელგანთქმული ქართველი ფალავანი, ჭიდაობის მოყვარულთა წრეებში შაშო ვერელად წოდებული.

ა. კახნიაშვილი დაიბადა 1889 წელს თბილისში, ხელოსნის ოჯახში. სპორტის მოყვარულებმა პირველად იგი გაიცნეს 1905 წელს. მას შემდეგ ფალავანმა ტრიუმფით მოიარა საქართველოს სარბიელები. ერთდროულად იგი მთელის არსებით ჩაება რევოლუციურ საქმიანობაშიც, ეხმარებოდა რევოლუციონერებს, ავრცელებდა პროკლამაციებს, რისთვისაც 1911 წელს დაპატიმრებულ იქნა მეფის ოხრანკის მიერ.

სხვა გამოჩენილ ფალავნებთან ერთად ა. კახნიაშვილმა ჩვენი საუკუნის პირველ ნახევარში საფუძველი განუმტკიცა ქართულ სპორტულ ტრადიციებს და ამ საყვარელ საქმეს პრაქტიკულად ემსახურებოდა 1936 წლამდე. მას დიდი წვლილი მიუძღვის ისეთი სახელმოხვეჭილი ფალავნების გამოზრდაში, როგორებიც იყვნენ ირაკლი ვაჩნაძე, ვახტანგ ციციშვილი, სანდრო კანდელაკი და სხვ.

ა. კახნიაშვილი ქართველი სპორტის მოყვარულების მეხსიერებაში დარჩა როგორც უაღრესად მაღალტექნიკური, გულადი მოჭიდავე, ამიტომ ითვლებოდა იგი თბილისელთა საყვარელ ფალავნად. მისი სახელი დიდხანს იცოცხლებს ჭიდაობის მოყვარულთა ხსოვნაში.

**საქართველოს ჭიდაობის ფედერაცია.**

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## გ. ნადარეიშვილის წარმატება

## „შავი მარგალიტი“ 2 თებერვალს ითამაშებს?

## ლომი „ვილი“... თბილისში

## ჩხუბი სტადიონზე

# „ინტერნაციონალეს“ წარმატება

იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატის XVI ტურში ლიდერობა განიმტკიცა მილანის „ინტერნაციონალემ“, რომელმაც რომის ოლიმპიურ სტადიონზე დაამარცხა „ლაციო“ — 3:1. მილანელებმა სამივე გოლი შესვენებამდე გაიტანეს. მეორე ტაიმში უპირატესობა „ლაციოს“ მხარეზე იყო, მაგრამ მან მხოლოდ 1 ბურთის გატანა შეძლო.

ბოლონიაში ადგილობრივი გუნდისა და ტურინის „იუვენტუსის“ მატჩი მასპინძელთათვის წაგებით დამთავრდა: მე-19 წუთზე ტურინელმა ჩინეზინიომ გაიტანა გოლი „ბოლონიას“ კარში — 1:0. ამის შემდეგ ბოლონიელები განუწყვეტლივ უტევდნენ, მაგრამ ანგარიშის გათანაბრება ვერ მოახერხეს. მატჩი ჩხუბით დამთავრდა — ბოლო წუთებზე მსაჯმა მინდვრიდან გააძევა ბოლონიელები ბულგარელი, პალერი და ტურინელი ლეონჩინი.

„მილანი“ საკუთარ მინდორზე ბეწვზე გადარჩა წაგებას „ლანეროსისთან“ შეხვედრაში. მილანელები 85-ე წუთამდე აგებდნენ (0:1), მაგრამ სორმანიმ საჯარიმო დარტყმიდან მოახერხა ანგარიშის გათანაბრება — 1:1.

სორმანი ახლა 13 გოლით ლიდერობს სნაიპერთა სიას. მაცოლას („ინტერნაციონალე“) და ალტაფინის („ნაპოლი“) 10-10 ბურთი აქვთ გატანილი.

ტურის დანარჩენი შედეგები ასეთია: „ატალანტა“ — „ფოჯა“ 1:3, „ბრეშია“ — „ვარეზე“ 2:2, „კალიარი“ — „რომა“ 4:0, „ფიორენტინა“ — „სპალი“ 1:0, „ნაპოლი“ — „სამპდორია“ 2:2, „ტორინო“ — „კატანია“ 4:0.

სატურნირო ცხრილი ასე გამოიყურება:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „ინტერნაციონალე“ | 16 | 30:11 | 24 |
| „მილანი“ | 16 | 26:14 | 23 |
| „ნაპოლი“ | 16 | 27:15 | 22 |
| „იუვენტუსი“ | 16 | 16:10 | 20 |
| „ბოლონია“ | 16 | 27:21 | 19 |
| „ფიორენტინა“ | 16 | 19:13 | 18 |
| „კალიარი“ | 16 | 21:11 | 17 |
| „რომა“ | 16 | 13:16 | 17 |
| „ლანეროსი“ | 16 | 20:21 | 16 |
| „ბრეშია“ | 16 | 20:19 | 15 |
| „ტორინო“ | 16 | 16:16 | 15 |
| „ლაციო“ | 16 | 16:20 | 15 |
| „ფოჯა“ | 16 | 14:14 | 14 |
| „სპალი“ | 16 | 19:21 | 14 |
| „ატალანტა“ | 16 | 15:22 | 13 |
| „სამპდორია“ | 16 | 13:26 | 12 |
| „კატანია“ | 16 | 12:32 | 9 |
| „ვარეზე“ | 16 | 12:34 | 5 |

(საქ. ინფ.).



ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატის ემბლემას — ლომ „ვილის“ პირველი ტყუპისცალი გამოუჩნდა თბილისში. მისი შემოქმედია ფეხბურთის დიდი მოყვარული, 16 წლის ჭაბუკი გია სარაჯიშვილი, რომელიც დედაქალაქის 56-ე სკოლის X კლასში სწავლობს.

უბრალოდ, ფეხბურთის გარდა გ. სარაჯიშვილს მხატვრობაც უყვარს, სამხატვრო აკადემიაშიც კი აპირებს სწავლის გაგრძელებას, ბევრს ძერწავს, ხატავს, ხაზავს... და ბუნებრივია, რაკი ეს ორი სიყვარული ერთმანეთს მჭიდროდ დაუკავშირდა, ნორჩი მხატვრის ობიექტი ხშირად სპორტია. თიხაში ჩამოსხმული ბელეს, გივი ჩოხელისა და სლავა მეტრეველის შემდეგ სწორედ ამ საფუძველზე დაიბადა თბილისელი „ვილიც“, რომელსაც ამ ფოტოზე ხედავთ.

# ეუსებიო დაშავდა

**ლისაბონი, 10 იანვარი.** როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ადგილობრივი კლუბის „ბენფიკას“ და პორტუგალიის ნაკრების უძლიერესი თავდამსხმელი ეუსებიო, რომელიც 1965 წლის სეზონის მიხედვით ევროპის საუკეთესო ფეხბურთელადაა აღიარებული, უგონო მდგომარეობაში მიიყვანეს საავადმყოფოში. ამისი მიზეზია ეუსებიოს შეჯახება ერთ-ერთ მეტოქესთან პორტუგალიის ჩემპიონატის კალენდარული მატჩის დროს. შიშობენ, რომ იგი ვერ შეძლებს 2 თებერვალს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალურ მატჩში („ბენფიკა“ — „მანჩესტერ იუნაიტედი“) გამოსვლას.

## „მიტროპის თასზე“

„მიტროპის თასის“ წლევანდელ საფეხბურთო გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებენ უნგრეთი, იტალია, ჩეხოსლოვაკია, იუგოსლავია და ავსტრია. თვითეული ქვეყნიდან გამოვა 2-2 საკლუბო გუნდი. უშუალოდ მეოთხედფინალში გამოსვლის უფლება მიენიჭა თასის მფლობელს—ბუდაპეშტის „ვაშაშსა“ და „ფიორენტინას“ (იტალია).

გათამაშების I ეტაპი უნდა დასრულდეს 31 მარტისთვის, II — 16 მაისისთვის. ნახევარფინალური მატჩები დანიშნულია 8 ივნისს ლივორნოსა და ფლორენციაში, ხოლო ფინალი — 12 ივნისს ფლორენციაში.

# ბოლო ადგილზეა... პელე

ბულგარეთის დეპეშათა სააგენტომ მოაწყო საახალწლო ანკეტა „ვინ არის გასული სეზონის საუკეთესო სპორტსმენი მსოფლიოში?“. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღეს 3 კონტინენტის ჟურნალისტებმა და სპორტის სპეციალისტებმა, რომლებმაც დაასახელეს 33 სპორტსმენი. შედეგების შეჯამების შემდეგ ადგილები ასე განაწილდა: 1. რ. კლარკი (ავსტრალია, მძლეოსანი) — 118 ქულა, 2. კ. კეინო (კენია, მძლეოსანი) — 84, 3. რ. მატსონი (აშშ, მძლეოსანი) — 57, 4. მ. ჟაზი (საფრანგეთი, მძლეოსანი) — 51, 5. ი. კირშენშტეინი (პოლონეთი, მძლეოსანი) — 47, 6. ლ. დანეკი (ჩეხოსლოვაკია, მძლეოსანი) — 44,7. დ. ჟივოცკი (უნგრეთი, მძლეოსანი) — 37, 8. ი. პრესი (სსრ კავშირი, მძლეოსანი) — 27, 9. ვ. ჩასლავსკა (ჩეხოსლოვაკია, ტანმოვარჯიშე) — 26, 10. პელე (ბრაზილია, ფეხბურთელი) — 25 ქულა.

## თბილისის სპორტული კვირეული

**ჩოგბურთი.** საჩოგბურთო მოედნები (მარჯანიშვილის ქ. № 29). **12-19 იანვარი. თბილისის ზამთრის პირადი პირველობა.** დასაწყისი 15 ს., კვირას — 10 ს.

**ფარიკაობა.** „განთიადის“ სპორტდარბაზი (პლეხანოვის პრ. № 95). **12-16 იანვარი. რესპუბლიკური პირად-გუნდური პირველობა ახალგაზრდა სპორტსმენთა შორის.** დასაწყისი 11 ს.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

**რედაქციის მისამართი:** თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“. **ტელეფონები:** რედაქტორი — 9-58-14, პასუხისმგებელი მდივანი — 9-58-47, სამდივნო — 8-95-80, სპორტული განყოფილება — 8-95-41, მასობრივ-ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 8-95-14, ფოტოლაბორატორია — 8-95-16, მემანქანეთა ბიურო — 8-95-11, გამომშვები — 8-93-81.

ИНДЕКС 66418

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 05812